ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №172

26 ივნისი 2013 წ.

სამშენებლო სამართალდარღვევისათვის ფიზიკური პირის ამირან კაკურიას დაჯარიმების და უნებართვოდ აშენებული ავტოსამრეცხაოს დემონტაჟის შესახებ

საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 25-ე, 26-ე მუხლების და 43-ე მუხლის „გ“ პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. სამშენებლო სამართალდარღვევისათვის, კერძოდ უნებართვო მშენებლობისათვის ფიზიკური პირი ამირან კაკურია დაჯარიმდეს 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

2. დამრღვევმა აღნიშნული თანხა ჩარიცხოს სამართლებრივი აქტის ჩაბარებიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში შემოსულობების ერთიან ანგარიშზე ა/ა 200122900 მიმღები ბანკი სახელმწიფო ხაზინა კოდი TRESGE22, შემოსავლის კოდი 300653263.

3. დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ დამრღვევს დაეკისროს საურავი დაჯარიმების შესახებ ბრძანებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

4. დაევალოს ფიზიკურ პირს ამირან კაკურიას მოახდინოს უნებართვოდ აშენებული ავტოსამრეცხაოს დემონტაჟი ბრძანების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში.

5. დაევალოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურს ბრძანების მიღებიდან 24 საათის განმავლობაში გააცნოს ბრძანება დამრღვევს.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალურად გაცნობიდან 15 დღის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე–ჭავჭავაძის ქ.N4.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,

იურისტი ედიშერ ჯიბუტი